საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2010 წლის 30 ივლისის
დადგენილება № 298

აკადემიური პერსონალის
სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ს აკადემიური პერსონალისათვის ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების (1 სასწავლო წლის ვადით) მიცემის საკითხი აკადემიურმა და წარმომადგენლობითმა საბჭოებმა განიხილონ ფაკულტეტის საბჭოს წარდგენის საფუძველზე, სწავლების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული წესის თანახმად (თან ერთვის).
2. აღნიშნული დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს.
3. საკითხის წარდგენა წარმომადგენლობით საბჭოზე დაევალოს პროფ. გ. აბრამიშვილს.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე